ალექსანდრე ბურთიკაშვილი

ვალერიან გუნიას თეატრალური პორტრეტის მოხაზვისას ალექსანდრე ბურთიკაშვილი წერს: „რამ მიიყვანა ვალერიან გუნია თეატრში? სცენის სიყვარულმა. მაგრამ რა ედო საფუძვლად ამას? ხალხის სამსახური“.

ასეთივე კითხვა იბადება ახლა. როცა თვით ალ. ბურთიკაშვილის თეატრალური პორტრეტის მოხაზვას ვიწყებთ: რამ ააღებინა ხელში კალამი, რომ თეატრალური პორტრეტების შექმნა დაეწყო? ხალხის სამსახურმა. მაგრამ რა ედო საფუძვლად ამას? ეროვნული ხელოვნების წინსვლა და აღორძინება.

მაგონდება ერთი შემთხვევა. თბილისი ნაადრევი თოვლის ქურქში იყო გახვეული. ბავშვების ჟივილ-ხივილით გაცოცხლებულ რუსთაველის გამზირს მივყვებოდი. ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში, სადაც ზაქარია ფალიაშვილი, ვანო სარაჯიშვილი და კოტე მარჯანიშვილი განისვენებენ, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, ფიქრებში წასული ალ. ბურთიკაშვილი იდგა. ერთმანეთს გავესაუბრეთ. მან თავისი მუდმივი თანამგზავრი — პორტფელი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა და ნაზრევი გამანდო. მკვლევარი ამ სამ ხელოვანზე მონოგრაფიების დაწერას აპირებდა. „ვერ ვბედავ ხელი შევმართო კალამს. რადგან დიდოსტატს თავისი სადარი მემატიანე სჭირდება. ოკეანეთა ტალღებს მხოლოდ დიდი ხომალდი გააპობს და არა იალქნიანი კარჭაპიო“, მითხრა მან. ამის შემდეგ მრავალი წელი გავიდა და ახლა, როცა ალ. ბურთიკაშვილის „თეატრალურ პორტრეტებს“ ვფურცლავთ, ნათლად ვხედავთ, თუ რაოდენ დიდი ზღუდენი გადალახა მან.

ინტერესმოკლებული არ არის ალ. ბურთიკაშვილის ბიოგრაფიული და სასცენო მოღვაწეობის ცნობებიც. იგი დაიბადა 1893 წელს, თბილისში. აქვე გაატარა ბავშვობა და ყრმობა.